K 121/1a

# სამშობლო

თბილისი—1947 წ

891.56-1

# სამშობლო

სამხრეთ ოსეთის საბჭოთა
მწერლების ნაწარმოებები

სამხრეთ ოსეთის სახელგამი
სტალინირი — 1947

K 121/1a – 443
ქ.კ. 2019-12251
ც.ს.ბ.
Ц.Н.Б.

821.221.18-1

# РОДИНА

СБОРНИК СТИХОТВОРЕНИЙ
ПОЭТОВ ЮГО-ОСЕТИИ

ГОСИЗДАТ ЮГО-ОСЕТИИ
СТАЛИНИР — 1947

მიძღვნილი დიდი ოქტომბრის
სოციალისტური რევოლუციის
30 წლისთავისადმი

ПОСВЯЩАЕТСЯ 30 ЛЕТИЮ
ВЕЛИКОЙ ОКТЯБРЬСКОЙ
СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕВОЛЮЦИИ

მ. შავლოხოვი

## სიმღერა სტალინზე

შენი შუქით ბრწყინავს
ლურჯი ცის კამარა,
ატყორცნილი მაღლა
დგახარ, ვით კლდე სალი,
ჩქეფს სიმღერე ჩვენი,
ქვეყნის მთა და ბარად,
ბედნიერი ყოფა
შენ მოგვეცი, სტალინ.

ო, იცოცხლე დიდხანს,
იდღეგ რძელე მარად,
ჩვენო ბრძენო მამავ,
საყვარელო სტალინ!

შენ გიგალობს მთიდან
მოხეთქილი ღვარად:
ჩანჩქერები მთისა,
მყინვარების წყალი;

გასაჭირში მუდამ
შენი კალთა გვფარავს,
თავს დაგვცქერი შვილებს
მშობლიური თვალით.
ო, იცოცხლე დიდხანს,
იდღეგრძელე მარად,
ჩვენო ბრძენო მამავ,
საყვარელო სტალინ!
ჩვენს თაობას ახალს
სიბრძნეს მატებს კვალად
შენი დაუშრეტი
სიბრძნის ნაპერწკალი,
დე, სახელი შენი
ქუხდეს ბრძოლის ზარად
გენიოსო, ბრძენო,
საყვარელო სტალინ!

ო, იცოცხლე დიდხანს
იდღეგრძელე მარად,
ჩვენო ბრძენო მამავ,
საყვარელო სტალინ!

შენ მშვიდობა ხალხთა
შორის დაამყარე
და შემუსრე ქვეყნად
ბოროტების ძალი;
ჩვენს ბედნიერ მამულს

შენ გაუხდი ფარად
და ახალი ყოფით
გულში ნერგავ ხალისს.

ო, იცოცხლე დიდხანს,
გენიოსო, ბრძენო,
იდღეგრძელე მარად,
საყვარელო სტალინ.

სანამდის ზღვის ფსკერზე
წყალი არ დამშრალა,
დედამიწას ანთებს
მზის სხივების ალი,

სანამდის დგას მტკიცედ
მთები თმაჭაღარა—
შენ იცოცხლებ მუდამ,
ვით მზე ჩაუმქრალი.

ო, იცოცხლე დიდხანს,
იდღეგრძელე მარად,
გენიოსო, ბრძენო,
საყვარელო სტალინ!

## ბერია

დიდი სტალინის თანამებრძოლო,
არ ძალუძს ფანდურს შემკობა შენი,
ხარ მეგობარი ოსეთის ხალხის,
ქირში ფოლადის ხარ დასაყრდენი.

არა მარტო მე ვაჟღერებ ფანდურს,—
ხალხის მგოსნები შენზე მღერიან,
შენზე ამბობენ სადღეგრძელოებს:
დიდხანს სცოცხლობდეს ჩვენი ბერია.

იქ, სადაც ბარდიც არ იზრდებოდა,
შამბი ფარავდა მინდორ-საყანეს,
შენ იქ დასთესე თესლი კეთილი,
დღეს იქ ბიბინებს ჯეჯილი მწვანე.

ახლა ქვეყანა მოსავლით ხარობს,
ოქროსფრად ელავს მწიფე ყურძენი,
ხეხილს ნაყოფი უხვად ასხია,
შენით აყვავდა ბაღები ჩვენი.

სრულად იცვალა ოსეთმა სახე,
ელექტროსხივი კეხვიდან ბრწყინავს,
და აყვავებულ ბაღნარებს შორის
დღეს ორთქლმავალი ამაყად ქშინავს.

მზით აფერადდა ჩვენი ცხოვრება,
კვლავ გავიზრდებით მყობადში შენით,
მაღლა აღვმართავთ სტალინის დროშას,
იგია მარად სიმტკიცე ჩვენი.

გვიწვდის მეგობრულს ხელს საქართველო
როგორც უფროსი ძმა მოყვარული,
შენ ჩაგვინერგე ეს მეგობრობა,
შრომაში ერთად ვართ დარაზმული.

ვინ არ გახსენებს დღეს მოწიწებით
რუსი, სომეხი, ოსი, ქართველი,
აღბეჭდილია მტკიცედ ჩვენს გულში
მზისებრ ბრწყინვალე შენი სახელი.

დიდი სტალინის თანამებრძოლო,
ყველა გადიდებს მთაში თუ ბარად,
ოსეთის ხალხის ერთგულ მეგობარს,
დღეს მეც გისურვებ სიცოცხლეს მარად!

## საქართველო

ნიავმა მთიდან ბარს დაუბერა,
ზღვა სიხარულით აავსო ველი,
ლაჟვარდი ოქროს სხივს დაუფერავს,
მტრედისფერ ცაზე არ ჩანს ღრუბელი.

შეხე, ვით ბრწყინავს კავკასის სახე,
თავისუფალი ხარობს ბუნება,
ხევში მდინარე აგორებს ტალღებს,
და მდუმარ კლდეებს ესაუბრება.

დღეს საქართველოს ცა მშვენიერი,
ზურმუხტი სხივით განათებული,
ზეიმობს, ხარობს სვებედნიერი,
გუგუნებს ხმები აღტაცებული.

აწ მხიარული პოეტის ქნარი,
აღსავსე ნათელ და მზიურ ხმებით,
ძმურ საქართველოს, ლხენით დამტკბარი,
მიესალმება მძლე სიმღერებით.

ჩემო ფანდურო, ისევ ამღერდი,
კვლავ დააფრქვიე ხმა სიხარულის,
ჩვენი ნათელი ცხოვრების დედის—
ქართლის—შეამკე დღესასწაული.

ო, საქართველოვ,
მშობლურ ალერსით
მე მიწოდვია
შენი რძე ტკბილი,
ახლა კალამი
ავიღე ხელში,
რომ ვთქვა სიმღერა
ტრფობით ავსილი.

ო, მშობლიურო მხარევ, ყოველთვის
ჭირში გიცავდა ხალხი გმირული—
იგი სიცოცხლეს სწირავდა შენთვის
და მტერს ებრძოდა თავგანწირული.

ხშირად გესხმოდნენ, ვით ნადირები,
მტრები და ყანებს სწვავდნენ ხანძარით,
მათთან ბრძოლაში შენი შვილების
უხვად ირწყვოდა სისხლით მთა-ბარი.

თითქოს განგაშზე მიჰქროდა მტკვარი,
და თბილისს მცველად გარს ერტყმებოდა,
ხან თუ შვილებზე მოსთქვამდა წყნარი,—
მომავლის რწმენა გულს ენთებოდა.

ბრძოლების ცეცხლმა შენ გამოგაწრთო,
არ დაანებე მტერს მიწა-წყალი,
ამის მოწმეა მთა, ჭალა ფართო,
მათ ახსოვთ წარსულ ომების ალი.

ამის მოწმეა ვინც ქართულ ენას
სხივით მოსავდა,—ბრძენი რუსთველი,
ვინც სისხლით სწერდა თავის პოემას,
ვისაც მზედ სახავს ქვეყანა მთელი.

შენ ქართულ ბულბულს—წერეთელს—ზრდიდი,
გიმღერდა ვაჟას ჩანგი ქებული,
ბარათაშვილი, ილია დიდი
შენთვის ილვწოდნენ თავდადებულნი.

ო, ვის არ ახსოვს: ლეგენდარული
ხმალი გიორგი სააკაძისა,
ლომი არსენა, გმირი ზღაპრული,
ქომაგი გლეხურ სამართალისა.

ნისლებს მოეცვა მაშინ ხევები,
ცეცხლში გმინავდა ტყე დახანძრული,
კვლავ აღსდგნენ შენი მედროშეები—
ბრძოლის ყიჟინით და ჟრიამულით.

შენმა არწივმა ზეცა გააპო,
მისი სიტყვაა ფოლადი მჭრელი,
მისმა შეხედვამ მიწა დაატკბო,
მან გაანათა კავკასი ბნელი.

მას გვერდით უდგა, კლდისებრ მაგარი,
რაზმი უმტკიცეს თანამოძმეთა,
ვის გაურბოდა მტერი დამფრთხალი,
და ვინც იმედი იყო მშრომელთა.

ო, საქართველოვ,
მზის თანატოლი,
რამდენი გმირი
გამოგიზრდია,
შენ მოგვეც სერგო,
ვინც მედგარ ბრძოლით
თავისუფლების
გზა გაგვიკვლია.

შენ ხარ აღმზრდელი ორი ვაჟკაცის,
სახელოვანი ორი გმირისა,
დიდი სტალინის თანამებრძოლთა:
კეცხოველის და წულუკიძისა.

ჩვენი ლავრენტი... ესეც ხომ შენი,
უსაყვარლესი ძე არის ტკბილი,
მან აგაყვავა თავის მარჯვენით,
მტერი შემუსრა ბასრი მახვილით.

თუმც გახსოვს ბევრი უბედურება,
დახანძრებული ქცეულხარ ფერფლად,
მაგრამ სამშობლოს თავისუფლებას
შენი ვაჟკაცნი იცავდნენ მედგრად.

აი, ამ წმინდა თავისუფლების
წართმევა სურდათ მოსისხლე მტრებსა,
და ფაშისტები, მოდგმა გუნების,
ცეცხლით მოადგნენ კავკასის მთებსა.

მაგრამ ბელადის დაძახებაზე
იძვრეს გმირებმა მახვილი ბასრი,
და ხმლის თვითეულ შემოქნევაზე
უპასუხებდნენ მტერს ათი დაკვრით.

იმ საშიშ დროში ჩვენ გვწინამძღვრობდა
ბერია—ქართლის შვილი ქებული—
და სამარცხვინოდ მტერი გარბოდა—
ჩვენი მთებიდან დამარცხებული.

* * *

აწ მხიარულობ, სხივმომფინარი,
წარსულს ჩაბარდა ცხოვრება ძველი,
ბრწყინავ, ელვარებ, როგორც ცისკარი,
შორს გავარდნილა შენი სახელი.

ო, მშობლიურო,
დღეს შენ ღირსეულს
ლენინის ორდენს
მკერდზე ატარებ,

ცოტა როდი გვყავს
ეპოქის გმირი,
შენი ალერსი
მათ გულს ახარებს.

შენ გაიფურჩქნე ბერიას ზრუნვით,
როგორც ყვავილი თვალდახატული,
კოლმეურნეთა კარმიდამოში
ახალ ცხოვრების ჩქეფს სიხარული.

შენს მიწა-წყალზე შრიალებს ლაღად
ჩაი, ციტრუსი, ოქროს ყურძენი,
სტალინის ერამ აქცია ბაღად,
სახელოვანი კოლხიდა ჩვენი.

კიდეშემკული ბოლნისის ქვებით,
წარსულზე ოხვრით არ მოსთქვამს მტკვარი,
გულანთებული წკრიალა ხმებით
თბილისს ადიდებს დღეს მისი ქნარი.

მეტეხის ციხე გიცავდა მარად, —
ძველი დარაჯი, შენი ერთგული,
აწ იგი ღიმილს გიგზავნის წყნარად,
კულტურის კერად გადაქცეული.

ახლა შენს გმირულ ახალთაობას
აქვს სიხარული დაუცხრომელი,

და შენთან ერთად ხარობენ გულით
მთელი მსოფლიოს ყველა მშრომელი.

ო, საქართველო, შენი ელვარე
სხივებით გვაქვს გამთბარი გული,
ოცდაათი წლის ზეიმის თავზე
სალამს მოგიძღვნის ოსეთი ძმური.

მტკიცედ ატარებ მრავალი წელი
ბრწყინვალე დროშას ალისფერს, ნათელს;
გულში ინახავ უსაყვარლესი,
დიდი გენიის, სტალინის სახელს.

მაშ, კვლავ დაუკარ, ჩემო ფანდურო,
იმღერე ჰანგი, სიამის მფენი,
დღეს საქართველო დღესასწაულობს
თვალმარგალიტი, საუნჯე ჩვენი!

გ. ძუგაშვი

## უხუცესი

(თქმულება)

### I.

ის ისეთივე ხნიერია, ვით ჩვენი მთები,
უხუცესია მთელს ხეობაში,
მისი სიმღერა ყველას ახსოვს, ლამაზი თქმები —
ყველგან: შრომის დროს, თუ დღეობაში.

არ უნახიათ არასოდეს ჭაბუკობაში
მისი ჯირითი ყაბარდოს მთებში;
და არცა ჯილდო, ვით ცხენოსანს, ჯირითობაში,
არ აულია მას თავის დღეში.

განა ოდესმე სიცოცხლეში უტარებია
კოხტა ნაბადი დაღისტანური?
არც აბრეშუმის ახალუხი არ ჰქონებია
ლამაზ საკინძით ამოქარგული.

ქული არასდროს დაუხურავს მას ბუხარული,
და არც დამბაჩის გამხდარა ღირსი,
ის ატარებდა, მას უყვარდა მხოლოდ ფანდური,
ეს იყო მხოლოდ სიმდიდრე მისი.

ხშირად ოსეთის და დაღისტნის მთები, სერები
გადაუვლია ფანდურით ხელში,
მისი საამო თქმულებანი და სიმღერები
ვის არ სმენია ჩვენს ხეობებში!

თუმც სიცოცხლეში ბევრი ახსოვს დღეები მწარე
და შევერცხლია წვერი და თმები,
მაინც მხნედ უკრავს, ეფინება შორს, არემარეს,
მისი ფანდურის წკრიალა ხმები.

როცა სიმღერებს შემოსძახებს შთაგონებული,
აღმაფრენით და სიამით სავსე—
მომხიბლავ ჰანგებს ისმენს ყველა აღტაცებული,
მთვარეც ჩერდება უეცრად ცაზე.

აკვნიდან ჩუმად, მოხიბლული საამო ხმებით,
სიმღერას ისმენს ბავშვი პატარა,
არყის ხეც, თეთრად მოელვარე ვერცხლის ტოტებით,
გაოცებული ირხევა წყნარად.

ჩანჩქერსაც, მთიდან დაქანებულს ძირს ხმოვანებით,
უცებ დუმილი დაეუფლება,

და საპატიო ბერიკაცი აღფრთოვანებით
იწყებს ამაყად თავის თქმულებას.

## II

ო, ამ ფანდურით რახანია მე ასე ვმღერი
ზამთარ და ზაფხულ, ხევში, გზის პირად,
აღარც კი მახსოვს, რაოდენი ჭაბუკი, ბერი
ჩემს მხნე სიმღერებს ისმენდნენ ხშირად.

ყმაწვილობაში რა სიმღერა არ მყვარებია,
სად არ მივლია მთასა და ბარში,
ვინ არ შევამკე, რა გმირი არ მიდიდებია:
ლხინში, კალოზე თუ პურის მკაში.

მაგრამ ყველაზე ნათელი და უბრწყინვალესი,
სპეტაკი უფრო თოვლიან მთებზე —
არის ის, რასაც მე განვიცდი, უძვირფასესო,
როცა სიმღერას დავიწყებ შენზე.

ფრთები მესხმება, მემატება ძალღონე მკლავში,
ვხდები ჭაბუკი სულით და გულით..
წუთით ჩერდება გაფრენის დროს არწივი ცაში,
ყურს უგდებს ჩემს ხმას გარინდებული.

ღრმა მოწიწებით დიდხანს ვდგავარ, შევცქერი
თრთოლვით,
თვალწინ მიდგია ბრწყინვალე სახე,

თითქოს ოქროსფერ თავთავიან ყანების შორის
ამომავალი მზე დავინახე.

თითქოს ჭაღარა მწვერვალების კვარცხლბეკზე
მდგარი —
როგორც იმედი ჩაგრულ ერების —
განთიადისკენ მოუწოდებს ხალხს ხმამდგარი,
მომნიჭებელი ბედნიერების.

რომელსაც ბრძოლის ხანძარია გაჩაღებული —
ის ლაშქარს უძლევს თავგანწირული,
და მისი რისხვით, სამუდამოდ დამარცხებული,
მტერი ძირს გდია გულგანგმირული.

თუ არ გინახავს, ჩემო კარგო, შენ თავის დღეში
იგი, ვისაც დღეს უმღერის ქნარი, —
სხივით ანთებულ კრიალა დღით გამოდი მზეში,
მაშინ მიხვდები: იგი ვინც არის.

მოინახულე ზღვა, ხმელეთი, ქვეყანა მთელი,
ჰკითხე ვარსკვლავებს, ანთებულს ცაზე:
ვინ არის უფრო დიადი და უფრო ნათელი
მთელს მსოფლიოში, დედამიწაზე?

ვისი სიმართლე რჩება მარად ჭეშმარიტებად,
ვინ გაგვინათა ჩვენ მომავალი?

ანდა ვინ გვიყვარს ქვეყანაზე უფრო ძლიერად —
ვიდრე მზე, მიწა
და ცა მაღალი?

მაშინ გახედე ქედს, ხევებს რომ
დაუსერია,
ნახე მწვერვალი, სხივების მფენი,
მზის ასოებით მთის მაღლობზე
იქა სწერია:
დიდი ლენინი, ბელადი ჩვენი!

ჰა, დავასრულე მეც სიმღერა...
ჩემი თქმულება
თქვენ დაიხსომეთ კეთილი გულით,
და გადაეცით თქვენ მომავალ
საუკუნეებს
მისი სიბრძნე და სიმართლე სრული.

ახლა კი თასი თქვენ ამივსეთ
და მომაწოდეთ
შავშავი ღვინო,
გისურვებთ ყველას ბედნიერი
ცხოვრება გქონდეთ,
გაშორდეთ ცუდი!“

# გორი

მტკვარის ტალღები
მღერიან ნელა,
თვითეული ხე მზის ქვეშ
მხნედ არი,
ჩვენი გზა იქცა დღეს
ცისარტყელად,
ჩვენი სიცოცხლე ბრწყინავს ნეტარი...

და საქართველოს მინდორ-ბაღები
ძველ მდინარეს ბანს
ეუბნებიან;
ირგვლივ გაწვდილან სულ ვენახები,
მწიფე ყანებს რომ ეჯიბრებიან.

დიდი ხანია, რაც აქ დამყარდა
გორი—ქალაქი ცნობილი, ძველი,
არავის ახსოვთ,
მწიგნობართ გარდა,
ვინ ჩაუყარა მას საძირკველი.

შემოდგომაზე,
რთველის ხანაში,
მე ოსეთიდან ჩამოველ გორში,
მთები სცურავდნენ კვლავ სიმწვანეში.
და ელვარებდა ცის სახე ნორჩი.

სჩანან ახალი ქუჩები წმინდა,
აქ ყვავილების
მთელი ნადია,
აქ ყოველივე იხილო გინდა,
და სართულები ცამდე ადიან.

და გორის ციხეს მზე
სხივოსანი
დღეს ველარ ათბობს, ვით
ახალ ქალაქს,
ასე მოხუცი ჭაღაროსანი
ჭაბუკის გვერდით ვერ იჩენს ძალას.

ყურძენით, ვაშლით სავსე რტოები
მწვანე ბაღებიდან იცქირებიან,
ბრწყინავენ, როგორც მზე,
ავტოები,
და ფრინველივით ზეცას სწვდებიან.

გამოუთქმელი და დიდი არის
ხალხის ზეიმი,

ხალხის ხალისი,
მოხუცებმაც კი ახალი ქარის
იგრძნეს სიამე უმხურვალესი.

ბავშვს ეტყვის დედა
ბედნიერ ნანას,
ბავშვის ღიმილი კრთის სანეტარო,
დააჯილდოვა ჩვენმა ქვეყანამ
სრულ უფლებებით
დიდი, პატარა.

გორის შუაგულს ამკობს სასახლე,
და იგი ბრწყინავს სხივთა ბრიალით,
მის ირგვლივ მოჩანს
მრავალი ხალხი,
მეც მივაშურე მისკენ ტრფიალით.

მე მოვიხადე
ნაბადი ვრცელი,
გავვიქეც რიგში ხილვად და სმენად,
აქ არის რუსი,
ყაბარდოელი,
ყალმუხი... ყველას ვერ მოსთვლის ენა!

პატარა სახლი ჩანს სასახლეში,
ამ შენს ბედს, გორო,

შეპნატრის ყველა!
აქ დაიბადა წარსულის ბნელში
დიდი მზე, —
ვისაც ვეძახით ბელადს!

მე ერთს კედელზე სურათი ვნახე,
ეს არის მისი დედა მშობელი;
ბავშვზე ზრუნავდა ის, მოცახცახე,
როგორც სანთელი
ჩაუქრობელი.

რამდენი სითბო,
ტკბილი ალერსი
დედამ შვილს მისცა ტკბილ მოკრძალებით..
გულს სწვავს კოცონი
უმხურვალესი,
იწვიან გრძნობით ჩვენი თვალები!

და დედამ, ალბათ, იწვალა ბევრი,
სანამ ალზარდა თავისი ვაჟი,
ჩვენ ახლა გვფარავს
ფიქრების ტევრი,
შორით მიგვაფრენს ოცნების რაში.

მოჩანს კედლიდან სურათი კიდევ,
იგი გვიცქერის მეგობრულ ცქერით,

თვალებში ცრემლის კანკალებს მძივი,
გული ატოკდა
ტრფობის სიმღერით.

ჩვენს დროს თავის ვალს
უხდის მგოსანი!
ხევებშიც ისმის სიმღერა მწველად,
ბედნიერია დღეს,
სხივოსანი,
რადგან ბელადი ჰყავს
დიდ მზრუნველად!

როს შეტევაზე მიდიან ძმურად,
ჩვენი გულადი ჯარისკაცები,—
უცქერენ შვებით
ამავე სურათს,
უცქერენ შვებით და აღტაცებით!

როცა მიჰყვება ხომალდი ჩვენი
ზღვის თვალუწვდენელ
ტალღებს სრიალით,—
ის მოგვიწოდებს სხივის მომფენი
გმირობისაკენ
თავისი სახით!

როს ქარხანაში რკინა იღვრება,
სრულდება სწრაფად გეგმა ახალი,

ეს ყოველივე
იმიტომ ხდება,
რომ მისი სახე ჩანს სხივმალალი!

როს გვატკბობს ყანა გასახარელი,
და გული ფეთქავს ვიწრო ბინაში,
სახე ძვირფასი და
საყვარელი
ისევ იელვებს თვალთა წინაშე!

კოლექტივები როცა კი ვნახეთ
მათი ჯოგებით და საძოვრებით,—
ჩვენ წარმოგვიდგა ისევ ის სახე,
გამომჭედელი ახალ ცხოვრების.

თავის შვილს—ერთგულ,
გამხდარ თითებით,
როცა უკერავს ახალუხს დედა,—
ისევ იმ სახეს
მთელის დიდებით,
მთელი მშვენებით
მკაფიოდ ვხედავთ.

თვითმფრინავები ზეციურ ფენებს
ჰკვეთავენ, როგორც მჭრელი ისარი, —
იმ უფსკრულებში მათ გზას უჩვენებს
ისევ ის სახე დაუვიწყარი.

ომსა და ლხინში ჩვენს შორის ყველა
იმას ისახავს გულის ვარსკვლავად,
გულში მივეცით ადგილი ბელადს,
ვინც რომ ანათებს
მტრის გულსაკლავად!

## მოსკოვი

მოსკოვო, შენ ხარ
სამშობლოს ფარი,
ღალის ვარსკვლავით
სივრცეს გაჰყურებ,
მტკიცე კლდესავით
ხარ ამართული
და შემოსეულ მტერს
ანადგურებ.

შენ თავიდანვე
იყავ მამაცი,
ქედი არვის წინ
არ მოგიხრია,
მოძალადეთა
იყავ მძლეველი
შენს გულს ვერ სჭრიდა
ვეროდეს ტყვია.

თუმცა ეწადათ
შენი დაპყრობა
ბათო—ყაენის
ბრბოებს წყეულებს.
მაგრამ მზე აქვე
უბნელდებოდათ—
სამარის მტვერად
გადაქცეულებს.

ბურბონსაც სურდა
შენი გაქელვა,
როცა მოიჭრა
ხანძრების ალით,
მაგრამ დამარცხდა
ის სამარცხვინოდ.
და ძლივს გადარჩა
თითონ ცოცხალი:

ბრძოლების ცეცხლში
გამოწრთობილსა—
მტრის ვერ გაკრთობდა
მუქარის ხმები,
და ოქტომბრისთვის
გაშლილ ბრძოლაში
შენ დაამარცხე
სასტიკი მტრები.

შენს ასაკლებად
მოისწრაფოდნენ
შავი სვავები
კოლჩაკ — ვრანგელის,
მაგრამ შენ მოსპე
მათი ხსენება
და გაუთხარე
აკლდამა ბნელი.

სხვათა მონობას
არ ხარ ჩვეული
თავისუფლების
შენ ხარ ლამპარი,
ახლაც ასევე
შენს სიმაგრეებს
ქვეშ მოექცევა
მტერი საზარი.

შენგყავს მამაცი
ახალგაზრდობა,—
შეუდრეკელი
რკინის კედელი;
შენი არმია
გზას მიიკაფავს
ბრძოლებში ხმალით
მტრის გამკვეთელი.

აწ მოპოებულ
თავისუფლებას
საკუთარ მკერდით
იცავ კლდესავით
და მებრძოლ ხალხებს
კომუნიზმისკენ
წინ გაუნათებ
გზაზე მზესავით.

შენს კრემლზე ელავს
დროშა წითელი,
ჩვენი კავშირის
შენა ხარ გული,
ხარ საფუძველი
ერთა ძმობისა
მათთან მარადის
შეერთებული.
მოსკოვო, შენ ხარ
სამშობლოს ფარი,
ლალის ვარსკვლავით
სივრცეს გაჰყურებ,
მტკიცე კლდესავით
ხარ ამართული
და შემოსეულ მტერს
ანადგურებ.

# საბჭოთა ოსეთს

გრაგრავდა წინათ
ავი დროება,
იყავი ტანჯვით
ალმოდებული,
და ძალმიხდილი
ძლივსღა სუნთქავდი
სასტიკ ტირანით
დამონებული.

გერეკებოდნენ
შორს სამშობლოდან.
და ალდარები
გრაგრავდნენ მუდამ,
გულს ლოდად აწვა
უსამართლობა
და ბორკილების
დამსხვრევა სურდა!

შენაც აიღე
ხელში მახვილი

და მით განგმირე
შენი მჩაგვრელი,
მოსპე, დალეწე
მონის ხუნდები
და დაიბრუნე
მიწები ძველი.

აღარ ხარ მონა...
საბჭოთა ოსეთს
გიხმობთ, და შენით
გული ამაყობს,
მზემ მოგაფინა
ოქრო ნათელი
და მას წყვდიადი
ვეღარ ჩააქრობს!

აწ მეზობლებთან,
სამშობლოვ ჩემო,
ხარ მეგობრობით
გულშემტკიცული,
რუსი, ქართველი
შენთან არიან
ჭირში და ლხინში
ძმად შეფიცული.

შენს მომავალზე
დღედაღამ ზრუნავს

დიდი ბელადი,
ვით მამა ბრძენი,
და გზას გინათებს
ლენინის სხივით
სიამაყე და
სიმტკიცე ჩვენი.

იცოცხლე დიდხანს,
ჩემო მამულო,
გადიდებს ქნარი
დღეს სიმღერებით,
ხალხთა ოჯახში
მარად ჰყვაოდე
სავსე სიკეთით,
ბედნიერებით!

**გაფეზ**

## „ირონ ფანდირ“

ცეცხლში და კვამლში
გზას მიიკვლევდა
სამშობლო ქვეყნის
მამაცი შვილი,
გმირობით დამტკბარს—
სევდა ვერ სძლევდა,
მაგრამ ის მძიმედ
იყო დაჭრილი!
ალისფერ სისხლით
მკერდ შეღებილი
დაეცა ბოლოს
მებრძოლი გმირი,
უბიდან შესძლო
მან ამოღება
საყვარელ კოსტას
„ირონ ფანდირი“-ს.

ის ოსეთიდან
თან წამოყოლოდა,
ბრძოლებში წუთით
არ იშორებდა, —
მან უვნებლად
განვლო ბერლინი
და მიაღწია
ელბის გორებთან.
წიგნს ინახავდა
თვალის ჩინივით
და შეტევაზე
როს მიდიოდა,
მის სიხარულით
შთაგონებული
ბრძოლის ხალისი
გულში ღვიოდა!
და ეხლა უფრო
მეტად შეშფოთდა
და სთქვა: „წიგნი ხომ
არ დამესრისა?“
ჭრილობა, სისხლი
არ აწუხებდა

და მხოლოდ წიგნზე
ფიქრობდა ისა.

მაგრამ რაღა დროს...
მტრის ავმა ტყვიამ
გახვრიტა მისი
ფურცლები ხშირი,
და მის გულიდან
ნაფეთქმა სისხლმა
წითლად შეღება
„ირონ ფანდირი“.

მან სიყვარულით
ჩაიკრა გულში
და მხოლოდ ესღა
მოასწრო ეთქვა:
„ვინც შეგხვდეს ოსი,—
უთხარ: „შეუწყდა
შენს თანამოძმეს
გულისა ფეთქვა“,

მებრძოლს უნდოდა,
რომ ერთხელ კიდევ
გადაეკითხა
მისი ფურცელი,

მაგრამ სიკვდილმა
აღარ აცალა,
საფლავად ექცა
ქვეყანა ვრცელი.

მაგრამ სიკვდილის
წინ მაინც შესძლო
გაშლილ „ფანდირი“-ს
ხელში აღება,
და მის ერთ სტრიქონს
კვლავ მოჰკრა თვალი:
„შენ დაამთავრე
ძეგლის აგება!“

## ტანია

დღე მიიწურა.
ცა რუხია და სევდიანი,
სიცივის სუსხი ნემსებივით
სხეულში ატანს,
მკვირცხლი ნაბიჯით მიდის ქალი—
ვით ჯეირანი,
და წარბშეუხრელ სიამაყით
გაჰყურებს ტატანს.
ორივე მხრიდან ფაშისტები—
ცოფიან სახით
მიჰყვებიან და სცემენ თავის
თოფის კონდახით

—„აბა, შეჩერდი გარეწარო!"—
უთხრა უფროსმა.
და შემახიღზე ტყის ნაპირთან
გაჩერდა ქალი.
იქვე, პირდაპირ, ქალიშვილის
წამების მოწმედ

მდგარი არყის ხე, ჩაქინდრულა—
მისებრ საწყალი.
იმ ხის ერთ ტოტზე თოკი არის
შებმული მყარად,
და ქალის მხრებთან მარყუჟს სიოს
შეარხევს წყნარი.

თითქოს ჰაერიც გაირინდა,
დღე დაიბინდა!
დგას ქალიშვილი—ფეხშიშველი,
თოვლის ნამქერზე,
ნაწნავებდაშლილს, მკლავშიშველსა
და თვალებწმინდას—
სისხლი თქრიალით მოსდის ხიშტით
დაკოდილ მკერდზე!
მის წინა დგანან ფაშისტები
და ბრალსა სდებენ,
შეუბრალებლად, გმირ გოგონას
ასამართლებენ:
—„ველურო გოგოვ,—უთხრა ერთმა
კბილების ღრჭენით,—
შენი სიცოცხლის წუთები გაქვს
უკვე დათვლილი,
მაგრამ თუ გვეტყვი საით არის
აწ რაზმი შენი,

დაგტოვებთ ცოცხალს და გექნება
ცხოვრება ტკბილი;
თუ არა—მაშინ დაგეხშობა
სიცოცხლის წამი,
სხვის შესაშინად ეკიდება
აქ შენი გვამი!“

გოგონამ დინჯად გადახედა
ცოფიან მგლებსა,
გული აუვსო აღშფოთებამ,
ცეცხლებრ მგზნებარემ,
და საპასუხოდ მრისხანებით
შესძახა მტრებსა:
—„რაღას უყურებთ? ჩამომახრჩეთ!
იჩქარეთ ბარემ!
დედა რუსეთი ჩემს მაგიერ
იძიებს შურსა,—
ის არასოდეს აპატიებს
მტერს შემოსულსა!“

## ჩექმები

ჩემო კარგო ჩექმებო,
დარჩით გაუცვეთელი,
თქვენ გადამალახვინეთ
ველნი და მთის კედელი.

სტალინგრადით — ვისლამდე,
თქვენს კვალს ვხედავ რამდენსა.
მტრისკენ თქვენ მიმაფრენდით
სწრაფად, ვით შევარდენსა!

აღარ დარჩა ქალაქი,
არც სოფლის გზა უვალი,
რომელზედაც სანიშნოდ
თქვენ არ აღბეჭდეთ კვალი.

მტრის ხელიდან გამოხსნილ
სახლებშიც ხომ იყავით,
მათ ზღრუბლზეც გადავედით
და ლხინი გავიყავით!

ბევრი აღარ გვჭირდება,
შარა უფრო სწორია,—
მაშ ვიჩქაროთ—ბერლინის
გზა განა თუ შორია!

ბერლინზე გამარჯვების
შვებაც გავიზიაროთ,—
და ფონ-ბარონებივით
მის ქუჩებში ვიაროთ,

ქვეყანა თქვენი ნახვით,
გაჰკვირდეს, არ დაეჭვდეს:
სტალინგრადით—ბერლინამდე,
მათ თვის კვალი აღბეჭდეს!“.

## ნიგა

### მთიელი ქალი

მუდამ დევნილი
და დაჩაგრული
იყო ბედკრული
მთიელი ქალი
არ ახარებდა
იმას წარსული,
არც აწმყო ჰქონდა,
არც მომავალი.

მას ბორკილების
სტანჯავდა ალი,
წამების გზაზე
ვინ ჰყავდა მხსნელი.
ცხოვრების გერი,
მონა, მხევალი
იყიდებოდა
ვით საქონელი.

მწუხრი ფარავდა
მარად მის სახეს.
ნაღვლით აღსავსე
თავს გრძნობდა ობლად;
ყოფა მონური
და სივაგლახე
ბედმა არგუნა
მას წუთისოფლად.

ახლა კი ჩვენში
მთიელი ქალის
ჰქუხს შვებით ჰანგი,
ხევებს ედება;
ეს სიხარული
შენ მოგვეც, სტალინ,
შენ დაგვიმკვიდრე
ბედნიერება.

შენ მიეც ჩაგრულს
ყოფა ახალი;
შენ ძლიერება
და მზე ხარ ჩვენი,

შენ შთაგვინერგე
რწმენა მაღალი

და მომავლისკენ
გზა გაგვიხსენი.

და გაიფურჩქნა,
როგორც ყვავილი,
დღეს ბედნიერი
მთიელი ქალი,
მისი აწმყოა
შვებით ავსილი
და სანეტარო
აქვს მომავალი.

სტალინო, ჩვენო,
ბელადო, მამავ,
შენ ხარ მნათობი
შუქის მომფენი;

დღეს ჩვენი გემი
მიაპობს ტალღას
და მის მესაჭე
შენა ხარ ბრძენი.

სტალინ, ეგ შენი
აზრი მაღალი
მთელს მსოფლიოში
ვით მზე გაბრწყინდა.

ძამავ, სალამი
მთიელი ქალის
კავკასიონის
მიიღე მთიდან!

# ომგადახდილი

ეფინებოდა დედამიწას
წყვდიადის ფრთები,
ვარსკვლავთა ხომლით მტრედისფერი
ცა ენთებოდა,
უკუნ ღამეში არ მოჩანდა
მწვერვალი მთების,
და კლდე პირქუში მრისხანებით
შემომცქეროდა.

მიჩხრიალებდა შორს მდინარე
აქაფებული,
ველებზე, ხევში მოისმოდა
ზუზუნი ქარის,
თვალს მაედევნებდა ქოჩორა ტყე
გარინდებული
და მტრის თხრილიდან მოისმოდა
ჩურჩული წყნარი.

შაშხანით ხელში მუხის ძირას
ვიწექ მდუმარე,
და მწვანე მოლი ქვეშ ნოხივით
მეფინებოდა,
შორიდან გულში ვიხუტებდი
მშობლიურ მხარეს,
და სატრფოს სახე თვალწინ ნათლად
მეხატებოდა.

შუაღამისას მტრის სიმაგრეს
მივუახლოვდი,
გვერდით სიბნელე მომყვებოდა,
ვით ძმა ერთგული,
„განხორციელდა ჩემი ნატვრა!“
ჩემთვის ვფიქრობდი,
მივაბიჯებდი უშიშარი და
გაბედული.

უცებ ვიგრძენი მე ბუნების
ალერსი ტკბილი
ჩამჩურჩულებდა ყურში ზღაპარს
ნიავი ნელი,
როცა შემომხვდა მტერი — დავკარ
ბასრი მახვილი
და სამუდამოდ დავუბნელე
ზეცის ნათელი.

ყველგან თან მახლდა ბრძოლის ველზე,
მხრიდა, ვით კლდესა,
სამშობლოს ტრფობა, ერთგულება
და თავდადება...
სამაგიერო, აჰა, უკვე
მივუზღეთ მტერსა,
ჩვენი შეხვედრის წუთიც, სატრფოვ,
მალე დადგება!

# ჩემი სალამი

(საბჭოთა კავშირის გმირს კოჩიევს)

ქვეყნის საყვარელ, სახელოვან გმირს
გესალმები,
დე, გქონდეს ხმალი, ომში მუდამ
მტრის გამპობელი,
შენი სახელით ამაყობენ
მაღალი მთები;
მო, ინახულე შენ ოსეთი —
დედა მშობელი.

მიყვარხარ, როგორც აჰაფებულ
ჩანჩქერის მღერა,
როგორც ხევებში სალამურის
ხმების წკრიალი,
დღეს შენ გადიდებს ჩემი ლექსი,
ფანდურის ჟღერა,
და მთის ასულთა შენ გეკუთვნის
გულის ტრფიალი.

სამშობლოსათვის ვაჟკაცურად
სიცოცხლეს სწირავ,
შენ არაერთი გაგიგმირავს
მამულის მტერი,
ბევრი ხომალდი ზღვის უფსკრულში
შენ ჩაგიძირავს,
ამის მოწმეა აზვირთებულ
შავი ზღვის ფსკერი.

დეე, გმატებდეს შენ ბრძოლაში
მხნეობას, ხალისს —
სამშობლოს სახე ძველ გმირობის
გამომსახველი,
სათუთი გულით დღეს გიმღერის
პოეტი ქალი;
მინდა: ვარსკვლავად ენთოს ცაზე
შენი სახელი!

 რ. ასაევი

## ოქტომბრის მზე

დასაბამიდან
სხივმოკაშკაშე
მზე ანათებდა
ციდან მიწაზე,
მაგრამ იმ მნათობს
რა შეედრება —
ოქტომბერმა რომ
აანთო ცაზე!

ვრცელია სფერო
დედამიწისა,
დიდი ხანია
ზედ ჩქეფს ცხოვრება,
მაგრამ იმ ყოფას
რა შეედრება,
რაც მოგვიპოვა
ჩვენ ოქტომბერმა!

თავის უფლებებს
სისხლით იცავდა
დედამიწაზე
ერი მრავალი,
მაგრამ ვისა აქვს
თავისუფლება
ჩვენზე ბრწყინვალე,
უფრო მაღალი?

ხოლო ვინ მოგვცა
ბედნიერება,
ვინ მოგვანიჭა
ურეკი ძალა,
ვინ მოსპო ქვეყნად
მოძალადენი,
წითელი დროშა
ააფრიალა?

ეს იყო მარად
ნათელი აზრი
შეუპოვარი,
ჩაგრულთა მცველ
მან უკუნეთის
ტახტი დაამხო
გაანადგურა
მონობა ძველი.

ის იყო ქვეყნად
ყველაზე ბრძენი
ვინც ძლევის დროშა
ძირს არ დაჰხარა
და თავის შემდეგ
სამშობლოს საჭე
ერთგულ მოწაფეს
გადააბარა.

ის აღარ არის...
მაგრამ აზრები
მან გვიანდერძა
სინათლის მფენი —
და დღეს სტალინი
აღთქმას უსრულებს,
ბრძენი მამა და
ბელადი ჩვენი!

და ახლა, როცა
სტალინში ცოცხლობს
დიდი ლენინის
ბრძნული აზრები,
ჩვენ ბედნიერი
მომავლისაკენ
კომუნიზმის გზით
მივემართებით.

დასაბამიდან
სხივმოკაშკაშე
მზე ანათებდა
ციდან მიწაზე,
მაგრამ იმ მნათობს
რა შეედრება
ოქტომბერმა რომ
აანთო ცაზე!

## სანგარში

ჩამეძინა და... ჩემს ტურფა სოფელს
და ჩემს საყვარელ სახლკარსა ვხედავ.
ვაი! ეს რაა, მატყუებს თვალი? —
რატომ არა ჩანს ნეტავი დედა?

აჰა, აქაა... ფრონტზე მოსულა,
სანგარში არის, მომხვია ხელი.
მაკოცა, რაღაც ჩამიჩურჩულა,
სიამის ცრემლი ილვრება ცხელი.

გამომეღვიძა... და გახდა ცხადი:
ეს ყველაფერი იყო სიზმარში,
მკერდში ჩამიკრავს მე ავტომატი —
— „ადექით ჩქარა!" — მესმის განგაში.

თარგმ. გ. ცეცხლაძისა

დ. კუსოვი

## საქართველოს

იქნებ შენი ნაზი ჰავა,
მომხიბლველი რბილი, თბილი,
ციტრუსების ბაღნარების
სურნელება მეტად ტკბილი,
ელვარება ქარვის მტევნის,
ჩემს ფანჯრის წინ გადმოხრილი,
დიდ ხეივანთ გაშლილობა,
შერხეული გრილი ჩრდილი...

საყვარელი მტკვრის ჩქეფანი,
მოწკრიალე ზვირთთა დენა,
მწვერვალების სიამაყე,
მგოსნის სულის აღმაფრენა,
დაისები დავითის მთის,
მწუხრის არის ნაზი ენა,
ქალაქიდან შორს მქროლავი
სიამე და თვალთა ლხენა...

იქნებ ღვინო, მიწის სისხლი,
ჩემს ყანწში რომ წინწკლებს ისვრის,
ჩონგურის და ზურნის ხმები,
ასე რომ კრთის, ტკბილად ისმის,
ან ნოხებში ჩაკვალთული
ელვარება სრა-სასახლის,
ქალწულ ქალის გამოხედვა,
ალით რომ სწვავს წამწამს ახრილს.

იქნებ ძველი გმირიც იყოს,
რომ ამშვენებს დიად წარსულს,
დიდ ქმნილებათ სამკაულად
კამარებში ჩართულ-ჩაწნულს;
ივერიის შთამომავალთ,
გზას რომ უკვლევს მზით გადახნულს.
და ალბექდავს დიდებასა
თვალისათვის არსად ნახულს...
საქართველოვ, იმ დღიდანვე,
რაც გაშალა აზრმა ფრთები,
წამომენთო შემეცნება
და მზეთა-მზედ მეჩვენები.

სიჭაბუკის ოცნებითა
შენსკენ ვილტვი, თავს გევლები!
ალტაცებულ ამბორითა
შენი ვარ და შენთვის ვკვდები!

მიჰქრის ჟამი შეუწყვეტლივ,
დღე იშობვის ღამის გზიდგან,
შენ უფრორე მნათესაობ,
გულსა მითბობ გულის მზისგან.
ნელსაცხებელს განგიმზადებ
გულით ნაჟურს მირონისგან,
სიყვარული ძღვნად მიიღე
თავსუფალ ირონისგან!...

*ირონი – ოსი

**ვ. სანაკოევი**

## მოგონება

იყავ წყეული,
შავო წარსულო,—
სამარადისოდ
შერცხვენებული!
ხარ განბანილი
ჩაგრულთა სისხლით
და ჭაობივით
აშმორებული.

დამონებული
შენ გყავდა ხალხი,
და ტყავს აძრობდი
მას დაუნდობლად,
მის ნამუშევარს
სხვა იტაცებდა,
თვით კი, ტანჯულებს,
მარხავდნენ ცოცხლად.

მართლის მთქმელს
ციხით ემუქრებოდნენ,
აღარც ბავშვს, მოხუცს
აღარ ზოგავდნენ,
თავისუფლებას
ერთგულ მებრძოლებს
მეფის ჯალათნი
ცეცხლშიაც სწვავდნენ.

უუფლებობით
იტანჯებოდა
ჩვენი მშრომელი
ხალხი ტანჯული,
და, განდევნილებს
შორს, სამშობლოდან,
ცივ კატორღაში
ხდებოდათ სული.

მაგრამ ოქტომბრის
მზე ამოვიდა,
მან დაამსხვრია
მონობა ძველი,
მშრომელმა შვებით
ამოისუნთქა
და გაიფურჩქნა
ცხოვრება ჩვენი.

ცივი ზამთარი
იქცა ზაფხულად,
კვლავ სიხარულით
აძგერდა გული.
განახლებული
ჩვენი ქვეყანა
მოირთო ისე,
ვით თაიგული!

დიდმა ლენინმა
ჩვენ გამოგვაწრთო,
და გამარჯვების
სხივით შეგვმოსა,
წინ მივაბიჯებთ
ჩვენ გაბედულად
და გზას გვინათებს
სტალინის დროშა!

# ოქტომბრისათვის

ბევრი თქმულება
ქვეყნად მსმენია...
მახსოვს, გმირობა
დიდ წინაპართა,
მამულისათვის
თავის განწირვა,
და შემართება
რკინის ლაშქართა.

მაგრამ ვის ახსოვს
ისეთი წარღვნა,
მეხის გუგუნი,
ბრძოლების ზარი,—
მოსკოვის კარს რომ
გრგვინვით მიაწყდა
სისხლის, ფოლადის
მძლე ნიაღვარი?

ტალღა ტალღაზე
დამგერებული

ზედ აწყდებოდა
ზვავივით კედლებს,
მაგრამ გასრესილთ
მტკიცე ხელებით
საკუთარ სისხლში
ახრჩობდნენ გველებს

ჩვენი დიდება —
გმირი მოსკოვი —
გოლიათურად
მტერთან იბრძოდა,
ცა ანათებდა
ცეცხლით მოცული
მიწაც ხანძრების
ალით იწოდა.

მაგრამ შემუსრა
მტერი წყეული
თავის ურყევი
მკლავის სიმტკიცით
და გაიმარჯვა
მან სამუდამოდ
შთაგონებულმა
ბელადის სიბრძნით!

და ჰა, ზეიმობს ხალხი...

კრემლიდან —
ბრწყინავს
ვარსკვლავი
განათებული,
იქ ჰყვავის ხალხის
ბედნიერება,
როგორც ყვავილი,
ედემში რგული.

## სერგო კობლოვს

უხათის ქედის
შენა ხარ შვილი,
კავკასიონის
ქალარა გზრდიდა,
ჩვენი ლამაზი
სამშობლო მხარე
შენით ამაყობს
ამიერიდან.

გეალერსება
დედა სამშობლო,
მკერდში გიხუტებს
მშობლიურ გულით:
ვნატრობ, შენებრი
ბევრი გვყოლოდეს
ვაჟკაცობით
და სიკეთით სრული.

შენ ის გმირი ხარ,
ვინაც სიცოცხლეს

თავის ქვეყნისთვის
არ იშურებდა,
ვინაც გაშლილი
არწივის ფრთებით
მტრის თვითმფრინავებს
ანადგურებდა.

ახლა შენთან ვართ...
და ხარობს ხალხი,
ვით ოკეანე
შენს წინ გაშლილი,
დიდი, პატარა
მადლიერია
და სიამაყის
გრძნობით ავსილი.

მაშ, დღეგრძელ იყავ,
ძვირფასო სერგო,
წარმოშობილო
გმირთა კერიდან,
ჩვენი ლამაზი
სამშობლო მხარე
შენით ამაყობს
ამიერიდან!

დ. ელიოზიშვილი

## გლეხის სიმღერა

მზე ამოცურდა ზეცაზე,
აათამაშა სხივები,
გადმოაყარა სიუხვით
მიდამოს ოქროს მძივები.

მძინარემ გამოიღვიძა,
გამოახილა თვალები,
გულში სიამემ იფეთქა,—
ოქტომბერს ვენაცვალები!

შრომას აეხსნა ბორკილი,
დაინგრა ციხის კარები;
ნაშრომს ვერავინ მოგვტაცებს,—
ოქტომბერს ვენაცვალები!

მინდვრად ტრაქტორი გუგუნებს,
მიწას უსერავს გულსაო

და მანქანები კალოზე
ლეწვენ, არჩევენ პურსაო.

ჩემი შვილები სკოლაში
სწავლობენ ანა-ბანასა,—
ვინ მოსწრებია, მითხარით,
ცხოვრებას ამისთანასა?!.

ძველი დროების მაგივრად
დადგა ნათელი ხანაო,
გაახარ-აანეტარა
სხვაც ბევრი ჩემისთანაო.

ცხოვრება საამური გვაქვს,
ცრემლს აღარ ღვრიან თვალები,—
ასეთი ცხოვრებისათვის
დიდ სტალინს ვენაცვალები!

## ფანდურზე

აწლა რომ ვმღერი, მე ისე
არას დროს არ მიმღერია;
რა ვუყოთ მერე, რომ თმაში
ჭალარა გამომერია!?

ახალმა ხანამ შემმატა
ძალღონე, აღფრთოვანება
და მთელი ჩემი არსება
ბრძოლის ტალღებში ჩაება.

რაგინდ სიძნელე არ შეგვხვდეს,
მას გადავლახავთ ხელათა,—
ცაში, წყალზე და მიწაზე
ვიქნებით ქვეყნის მცველადა!

მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის
შუქურა გვიძღვის წინაო,
მით ახალგაზრდა, მოხუცი
ვართ ისე, როგორც რკინაო.

ძალამ გაიდგა ფესვები
ქარხნებში, ფაბრიკებშია;
მთა-კლდეს გაუპო გულები,
გზები გაკაფა ტყეშია!

სასიხარულო დღე არის,
სასიხარულო ჟამია,—
დიდი მადლობა ჩვენს ბელადს,
იცოცხლოს მრავალჟამიერ!

ახლა რომ ვმღერი, მე ისე
არას დროს არ მიმღერია,—
რა ვუყოთ მერე, რომ თმაში
ჭაღარა გამომერია!

# მებრძოლის ფიცი

ცეცხლად შემერგოს დედის რძე,
დღე გადამექცეს წყვდიადათ;
ტოლებში გამოვერჩიო,
ხალხი მდევნიდეს ნიადაგ;
სადაც ვეძებდე სითბოსა,—
ყველგან სიცივე მყინავდეს;
ველარ ვიხილო სინათლე,
თვალებს სიბნელე ჰბინდავდეს;
მოვკვდე და არვინ მიტიროს
უტომო, უკუგდებული,
დაუმარხავი ვეგდო და
სვავი მკორტნიდეს წყეული,—
თუ ვუღალატო სამშობლოს
მებრძოლმა ბრძოლის ველზედა,
თუ მის უწმინდეს მიწა-წყალს
ზედ არ დავაკვდე მკერდზედა.
თუ არ ვეკვეთო უშიშრად
ჩემი ნალესი ხმალითა,
და არ მოუსპო სამშობლოს
მტერი, მოჭრილი ძალითა...

დავბრუნდე უკან ბრძოლიდან
მებრძოლი გამარჯვებული;
ყველას ვახარო, რომ მტერი
უკვეა დამარცხებული.
მომქონდეს ლენინ-სტალინის
წითელი დროშა ფრიალით,
რომ ყველა გავახარო და
მეც ყველა შემხვდეს სიამით.

თუ მე ეს ფიცი გავტეხო
დღე გადამექცეს წყვდიადათ;
ტოლებში გამოვერჩიო,
ხალხი მდევნიდეს ნიადაგ.

1941

ტ. კრიხელი

## გამარჯვებულთა დედაქალაქს

ქვეყნის სიმტკიცევ და სიბრძნის კერავ,
შენსკენ მოილტვის მშრომელთა გული,
შენს სიდიადეს შეჰხარის ყველა,
შენა ხარ ჩვენი ზღვა სიხარული.

ხარ საყვარელი და მშობლიური,
შენი ვარსკვლავი კრემლზე ანთია.
მთელი მსოფლიოს ჩაგრულთ, წამებულთ,
იგი უმზადებს ახალ განთიადს.

მსურს სტრიქონებით ამოგიქარგო
ძალის გულმკერდი, ოქროს ფერადი,
იდიდე მარად, გმირო ქალაქო,
იყოს დღეგრძელი ჩვენი ბელადი.

## სიმღერა ბელადზე

თუ წინად ჩემი დარდები
ვერ დაიტია მთამაო—
დღეს გული ლხენად ილვრება,
მეც გამიღიმა ცამაო.

თუ უწინ ვიყავ ობოლი,
ძმად ვეღარ მიცნო ძმამაო—
მე დღეს ბელადმა მიშვილა,
დღეს ს ტ ა ლ ი ნ ი მყავს მამაო.

გულს დაეუფლა იმედი,
მეც მიცნო ცხოვრებამაო—
ოცნებამ ფრთები შეისხა,
შუქი ვიხილე ბრმამაო.

ასეთ ცხოვრების შემომქმედს
სიცოცხლე, დღეგრძელობაო,
ქვეყნის საყვარელ ბელადსა—
დიდ სტალინს გამარჯვებაო!

.ა მამისთვალოვი

## ახალი ხუთწლედი

ომის ქარცეცხლმა
ქექა-გრგვინვით გადაიარა
და გამარჯვებით
დაგვირგვინდა
საქმე მართალი.
სწრაფად ვიშუშებთ
ჭრილობებს და...
გაჰქრა იარა.
გულთა მკურნალად
მოგვევლინა
დიდი სარდალი.

---

ჩვენ უფრო მჭიდროდ
შევკავშირდით
და გავფოლადდით...
დღეს ხომ მიზანი

საერთოა,
საქმეც საერთო.
სადაც მტრის ურდოს
ვაჟკაცურად
რისხვით ვქოლავდით,—
იქ მშვიდობიან
მშენებლობის
ცეცხლი დაენთო.
დაე, მიზანი
მტკიცე იყოს,
რწმენა—უცვლელი.
ნაბიჯებიც კი
ვზომოთ მხოლოდ
სამშობლოს ბედით,
რომ გამარჯვების
სტალინური
დიდი ხუთწლედი
დავაგვირგვინოთ
გამარჯვების
შარავანდედით.
ახალ ხუთწლედში
ხალისით და
რწმენით ვებმებით...
შრომა დღეს უფრო
საამოა და სანაქებო.

მშვიდობიანი
მშენებლობის
დიად ემბლემით—
გმირული შრომით
წინ, ძვირფასო ამხანაგებო!

## სიხარულის მაისი

ვარდების და ყვავილების თვე არი,
ლალ ბუნებას სადღესასწაულოდ მოუცლია.
დღეს ბულბულიც—ვარდზე ღამის
მთევარი—
ალარ კვნესის, ჰანგი გამოუცვლია.

საბჭოეთის მოხატულ ცას გავცქერი,
დევგმირების მშობელ მიწას დავხარი—.
სჩქეფს სიცოცხლე—როგორც ლალი ჩანჩქერი
საოცნებო ბაღნარია ნახარი.

ამ ბაღნარის და ამ ზეცის დათაღხვა
მტერსა სურდა ბოროტსა და ავზნიანს...
მტრის სურვილი ჟამთა სრბოლას გადაჰყვა,—
გმირმა ხალხმა ყველაფერი დასძლია.

მაშ იხარეთ, სიხარულად შლილებო.
არ მენახოთ ტანჯვა სიმწუხარეში.
მომილოცავს, გმირთა ქვეყნის შვილებო:
მაისია ვარდ-მაისის მხარეში!

## სიმღერა გამარჯვებისა

გულს როგორ არ აამღერებს
სიხარული ამისთანა,
სიმი თვითონ შეირხევა,
ლექსიც მოვა თავისთავად.

რამ დაჰფაროს სიხარულის
ფრთებშესხმული აღელვება.
დღეს ბუნებაც იზეიმებს,
დღეს ბუნებაც ამღერდება.
ბაღში ხეებს ყვავილობა
უფრო მეტად დაჰშვენდება.
თვით ქვასაც რომ გული ჰქონდეს,
ისიც ტკბილად აძგერდება.

გულმა როგორ არ იმღეროს,
დღეს სიმღერა თვითონ მოვა.
დღეს სიმღერა გამარჯვების
მქუხარე ხმებს გადექსოვა.

განადგურდა ბარბაროსულ
ომის კერა, მხეცთა ხროვა
და მსოფლიომ უდიდესი
სიხარული მოიპოვა.

ომი 'მეწყდა... ლალ ღიმილით
ცა უგზავნის მიწას კოცნას.
ომი შეწყდა.. ჩემო მხარევ,
ზეიმის დღე მომილოცავს.
დღეს შენს მთებს და მინდორ-ველებს
გამარჯვების სხივი ჰმოსავს.
დღეს მსოფლიო ნეტარ გრძნობით
ეგებება მზის ამოსვლას.

შენ დიდება, დიდო სტალინ,
გმირთაგმირო სასახელო,
გერმანელი ფაშისტების
უღლისაგან ხალხთა მხსნელო.
შენ იცოცხლე, იდღეგრძელე,
ბელადო და მამავ ჩვენო,
რომ სამშობლო სხივმოსილი
კიდევ უფრო დაამშვენო.

— 9. V. 1945წ.

ს. ბურნაძე

# გამოთხოვება

მკვდრებიდან გამოგარჩიე,
გეტყო სიცოცხლის ნიშანი,—
როცა გმირთ საძმო საფლავში
ზედ გეყრებოდა ქვიშანი...
როცა ნელიად სუნთქვამა
ულვაშზე მტვერი შებერტყა,
მაშინ ეს მკლავი ანაზდად
წელზე სარტყელად შეგერტყა.
მას შემდეგ ერთი თვე არის,
ვხარობ შენს მოვლა-ურვაში
ბევრჯერ გავკოცნე შენს ჩუმად
შენი ყირმიზა ულვაში...
წყლული მოვშუშე ზრუნვითა
დაგავაჟკაცე—სნეული,
კვლავ ფრონტზე მიხვალ ზურგიდან—
რჩეულთა შორის რჩეული.
მშვიდობით, ჩემო—ვიდრემდე
ბობოქრობს მტერი წყეული,
ვიდრე ჰპოვებდეს სამარეს
მისი ბინძური სხეული...

თან გატან ლოცვა-კურთხევას,—
მრჩება ფიქრების ხვეული,
საფრთხეში კვლავ თქვენთანა ვარ —
თქენს გადარჩენას ჩვეული.
კვლავ დაგიბრუნებთ სიცოცხლეს,
ჯანით აგავსებთ ვაჟკაცებს,
არ დაგანებებთ სიკვდილსა,
ვიდრე ნათელი კაშკაშებს...
ესმოდა გამოთხოვება
ქალწული დოსტაქარისა —
ჭაბუკს, ვით ნატვრით გაღება
ბედნიერების კარისა.
წავიდა... გრძნობით დატვირთულს
ართობს დიადი ოცნება,
ეხვევა განცდა სათუთი,
ფიქრებით გადიკოცნება...
ალაფრთოვანებს მებრძოლებს
მკვდრეთით აღდგენა გმირისა;
გადაეხვივნენ, დაჰკოცნეს,
გარს ევლებიან გვირისტად...
კვლავ გადაეშვა ბრძოლაში —
ამტეხი გრიგალ-ქარისა, —
უძღვის ნათელი ხატება
ქალწული დოსტაქარისა...

ვ. გელაშვილი

# ოსეთი

## 1. ლიახვის ხეობა

ხეობავ! ბევრჯერ ვნატრობდით
ასე ტურფა რომ გვენახე,—
გადახრეკილი მინდვრები
მოუქარგიათ ვენახებს.

ხე-ხილის ბაღებს შევხარით
ლიახვის პირზე ნაშენებს,
აზლვავებული ყანები,
ხეობავ, როგორ- გამშვენებს!

მე გნახე განთიადისას,
თავზე რომ გადგა ცისკარი,
მტრედებმა გადაგიფრინეს,
ღუღუნითა და სიჩქარით.

მე გნახე მზის ამოსვლისას,
ჰგავდი ზურმუხტს და მარგალიტს,
მე ვნახე შენს უხვ ყანებში,
რომ ტრიალებდა ნამგალი.

გამიგონია შენს გზებზე
გლეხკაცის ტკბილი ურმული,
მინახავს ვაზზე მტევნები
ლამაზად ჩამოხუნძული.

და კიდევ, იცი, რა მახსოვს:
შენს თბილს უბეში ნანახი—
ღილით, ლიახვის ტალღიდან
ამოყვანილი კალმახი.

სტალინური მზით გამთბარი,
შრომა გარჯაში გართული,
პატარძლებს ჰგვანან სოფლები
შენს მკერდზე ამოხატული.

## 2. მთები

მთებო! მე თქვენი დანახვა
სიხარულს განმაცდევინებს,
მიყვარხართ! ეს სიყვარული
რა ვქნა, ლექსს ვერ ვათქმევინე.

ეს სიყვარული წმინდაა
ვით თქვენი წყარო – ანკარა,
ჯერ მე არ დამინახიხართ
გაბრწყინებული ამგვარად.

გახსოვთ, ორმოცდა ორში რომ
გეპარებოდათ ხანძარი,
მაშინ მეც მკერდით გიცავდით...
გასაკვირველი არც არი.

რომ თქვენი ნახვა ყოველთვის
მას შემდეგ უფრო მახარებს,
თქვენც ხომ მტერს გადაელობეთ,
მის წინ თავი არ დაჰხარეთ.

მთებო! ცად აზჯენილებო,
გშვენით გულ-მკერდი უხრელი,
და იცით კიდევ რა გშვენით?—
უამრავ ცხვართა ღრუბელი.

მწყემსი რომ მივა წყაროსთან,
და ნაბადს ჩრდილში გაიგებს,
სალამურს ააწკრიალებს
გულს სასიმღეროდ გაილებს.

მაშინ ისმინეთ, რას მღერის
ის მწყემსი სოფლის ერთგული
— მთებო! სულ ეგრე მენახეთ
მზის შუქით განათებული!

## ვ. ოსეთის მკვიდრო!

ოსეთის მკვიდრო, შენს ირგვლივ
მიმოიხედე რა ხდება,
რამდენი ახალ-ახალი
მშენებლობანი ჩალდება,

ნავთიც გვქონია, ნახშირიც,
თუთია.. და სხვა მრავალი,
ხუთწლედი შებრძოლებია
საქმეებს გმირთა ამალით.

შენც დაიმკლავე ძმობილო,
გმირებს გაჰყევი მხარ და მხარ,
სამშობლოს გაეხარდება
შენი ნაშრომის დანახვა.

რა იყო შენი ოსეთი,
რა გახდა არ გეოცება!,
ხომ ხედავ უკვე ასრულდა
მშრომელი ხალხის ოცნება.

შენც დაიმკლავე, აშენე,
გმირებს გაჰყევი მხარ და მხარ,
სამშობლოს გაეხარდება
შენი ნაშრომის დანახვა.

## 4. გახსოვდეს!

როდესაც გზაზე მიდიხარ,
ისმენ სიმღერას მხიარულს,
გხიბლავს წარმტაცი ბუნება,
ვერ მოუღლიხარ სიარულს...

გახსოვდეს, შენი ოსეთი,
მრავალი ბრძოლის მნახველი,
როგორი იყო ძველს დროში
გულზე რომ აწვა ნაღველი.

გახსოვდეს! ორმოცდა ორში
ვინ იხსნა შენი მამული,
გაჰფანტა შავი ღრუბლები,
საავდროდ შემოპარული...

და სიყვარული მამულის
უწმინდეს გულით დაგქონდეს,
სტალინის ქვეყნის შვილი ხარ
გახსოვდეს, მუდამ გახსოვდეს!

# შინაარსი


მ. შავლოხოვი — გვ.

სიმღერა სტალინზე. . . (თარგმ. ვ. გორგაძისა) 5
ბერია . . . . . . . . ( „ „ ) 8
საქართველო . . . . . . ( „ „ ) 10

გ. ძუგაევი

უხუცესი . . . . . . ( „ „ ) 17
გორი . . . . . . . ( „ „ ) 22

კავკაზაგი

მოსკოვი . . . . . . ( „ „ ) 29
საბჭოთა ოსეთს . . . . ( „ „ ) 33

გაფეზ

„ირონ ფანდირ. . . (თარგმ. ს. ფაშალიშვილისა) 36
ტანია . . . . . . ( „ „ ) 40
ჩექმები . . . . . . ( „ „ ) 43

ნიგა

მთიელი ქალი . . . . . (თარგმ. ვ. გორგაძისა) 45
ომგადახდილი . . . . . ( „ „ ) 49
ჩემი სალამი . . . . . . ( „ „ ) 52

რ. ახაევი

ოქტომბრის მზე. . . . . ( „ „ ) 54
სანგარში . . . . . . . (თარგმ. გ. ცეცხლაძისა) 57

დ. კუსოვი

საქართველოს . . . : . (თარგმ. დ. კასრაძისა) 58

**ვ. სანაკოევი** გვ.

მოგონება . . . . . . (თარგმ. ვ. გორგაძისა) 61
ოქტომბრისათვის . . . . . . ( „ ) 64
სერგო კობლოვს . . . . . . . . ( „ ) 67

**დ. ელიოზიშვილი**

გლეხის სიმღერა . . . . . . . . . . . . . 69
ფანდურზე . . . . . . . . . . . . . . . 71
მებრძოლის ფიცი . . . . . . . . . . . . 73

**ტ. კრიხელი**

გამარჯვებულთა დედაქალაქს. . . . . . . . . 75
სიმღერა ბელადზე . . . . . . . . . . . 76

**ა. მამისთვალოვი**

ახალი ხუთწლედი. . . . . . . . . . . . . 77
სიხარულის მაისი. . . . . . . . . . . . . 80
სიმღერა გამარჯვებისა. . . . . . . . . . 81

**ს. ბურნაძე**

გამოთხოვება. . . . . . . . . . . . . . 83

**ვ. გელაშვილი**

1. ოსეთის მთები . . . . . . . . . . . . 85
ოსეთის მკვიდრო . . . . . . . . . . . . 88

თარგმანი ოსურიდან ვ. გორგაძისა,
დ. კასრაძისა და ს. ფაშალიშვილისა.
რედაქტორი კავკაზაგი.
ტექ. რედაქტორი ხ. გუტიევი.
კორექტორები: ნ. არუთინოვა და
ლ. მანაშეროვა.

Сдано в набор 7.IX.47. Подписано к печати 10.X.47. ЭТ00601.
Тираж 1100. Печ. листов 6. Заказ № .

---

Типография ГИЗ-а Юго-Осетии. г. Сталинир, ул. Исака, № 1.

ფასი 6 მანეთი.

89/151